საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი– კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე- კოლეგიის წევრი

ია გაბედავა– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – კ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 043/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 21 ივნისს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ დ. ბ.-ისთვის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2021 წლის 28 ივლისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივარზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის მუშაობდა პოლიციაში. სამსახურში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიების საფუძველზე, 2020 წლის 28 ივლისს დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ბრალდებით. დაკავება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო, რადგან მას მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში. დაკავებამდე 10 დღით ადრე, სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად, ის, მეგობარ შ. კ.-სთან ერთად შეხვდა ადვოკატ დ. ბ.-ს. 2020 წლის 28

ივლისს, საჩივრის ავტორის მეუღლესა და ადვოკატს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. საადვოკატო მომსახურების საგნად განისაზღვრა „საადვოკატო მომსახურება კ. მ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლით).“

1.3 საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღრა 1100 აშშ დოლარი, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ ადვოკატმა გააძვირა მომსახურების საფასური და ჰონორარად განსაზღვრა 1300 აშშ დოლარი, რაც კ. მ.-ის მეუღლემ სრულად გადაუხადა ადვოკატს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, საკუთარი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საქმეში ჩააბა მეორე ადვოკატიც - მ. ვ.. ადვოკატებს ფუნქციები განაწილებული ჰქონდათ, კერძოდ, ადვოკატ დ. ბ.-ს ევალებოდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული მოწმეების გამოკითხვა, რომლებიც დაადასტურებდნენ რომ დანაშაულის ჩადენის დროს საჩივრის ავტორი არ იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილას. კ. მ.-ის განმარტებით, პატიმრობის პირობებში საჩივრის ავტორს არ შეეძლო მოწმეებთან პირდაპირი კომუნიკაცია და მოწმეთა სრულყოფილად გამოკითხვაში ჰქონდა ადვოკატ დ. ბ.-ის იმედი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დ. ბ. მას ცრუ ინფორმაციას აწვდიდა მოწმეების გამოკითხვის თაობაზე. კერძოდ, ადვოკატი კლიენტს უმტკიცებდა, რომ მოწმეები თავს არიდებდნენ და არ სურდათ გამოკითხვა, არ პასუხობდნენ მის ზარებს და აქედან გამომდინარე, ვერ ახერხებდა მათთან დაკავშირებას. როგორც მოგვიანებით საჩივრის ავტორისათვის გახდა ცნობილი, საქმის რეალური ვითარება საპირისპირო იყო, კერძოდ, ადვოკატმა მიზანმიმართულად არ გამოკითხა ის მოწმეები, რომლებიც საჩივრის ავტორის უდანაშაულობას დაადასტურებდნენ. ასევე, კლიენტის მითითების მიუხედავად, ადვოკატმა არ მოიპოვა იმ ვიდეო-კამერების ჩანაწერები, რაც გაამყარებდა კლიენტის პოზიციას. კ. მ.-ის განმარტებით, ადვოკატის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი იყო მისი ახლო ნაცნობობა იმ პირებთან, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის რეალური ამსრულებლები იყვნენ, თუმცა, არ დაკავებულან მათი მაღალი თანამდებობრივი რანგის გამო. ამავე მიზეზით, ადვოკატმა არ გაცვალა ინფორმაცია ბრალდების მხარესთან, რაც ასევე მიზანმიმართული ქმედება იყო კლიენტის ინტერესების საზიანოდ. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის ახლო მეგობარს წარმოადგენდა დანაშაულის რეალური ამსრულებელი გ. წ., რომლის ინტერესების სასარგებლოდაც მოქმედებდა დ. ბ..

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ბ.-მ წინასწარი დაკავების იზოლატორში ერთხელ, ხოლო საჩივრის ავტორის ციხეში ყოფნისას ის რამდენჯერმე ინახულა. თუმცა, ადვოკატის ვიზიტები იყო უმიზნო და უშედეგო, რადგან ის ვერ აწვდიდა კლიენტს რელევანტურ ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე და დ. ბ.-სთან საუბრის შემდეგ კლიენტს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ადვოკატი საერთოდ არ იცნობდა საქმის მასალებს.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ რაც, მისთვის ცნობილი გახდა, ადვოკატ დ. ბ.-ის ნაცნობობა დანაშაულის რეალურ ამსრულებლებთან, შესთავაზა ადვოკატს ჩამოშორებოდა საქმეს, რადგან ასეთ პირობებში მათ შორის თანამშრომლობა ვერ მოხერხდებოდა. ადვოკატის მხრიდან კლიენტის პოზიციას რაიმე სახის რეაგირება არ მოჰყოლია.

1.8 საჩივრის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უდანაშაულოდ ცნობა და საკუთარი პოზიცია თავიდანვე აცნობა ადვოკატს. დ. ბ.-მ იცოდა, რომ მას არ სურდა საპროცესო

შეთანხმების გაფორმება, თუმცა ის მაინც ცდილობდა კლიენტის დარწმუნებას საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებლობაში. საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ადვოკატის არაკეთილსინდისიერების გამო, საკუთარი ინტერესების დასაცავად საპროცესო შეთანხმების გაფორმების გარდა მას სხვა ალტერნატივა აღარ დარჩა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, დაკავებიდან დაახლოებით 4 თვეში, ადვოკატი დ. ბ. ფაქტობრივად ჩამოშორდა საქმეს: აღარ ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს. კ. მ. საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ გათავისუფლდა. ადვოკატი თავს არიდებდა საჩივრის ავტორს მისი გათავისუფლების შემდეგაც.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ადვოკატი ხშირად ატყუებდა და კლიენტის მითითებების შესაბამისად, კეთილსინდისიერად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მოსთხოვა დ. ბ.-ს გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და შეთანხმდნენ, რომ დ. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების საფასური შესაბამისი ხარჯების გამოკლებით უნდა დაებრუნებინა, თუმცა, მოგვიანებით მან სრულად შეწყვიტა კომუნიკაცია კლიენტთან და არც თანხა დაუბრუნებია მისთვის.

1.11 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მისი გათავისუფლების შემდეგ მან არაერთხელ სცადა ადვოკატ დ. ბ.-ს დაკავშირებოდა, თუმცა ეს მცდელობები თითქმის უშედეგო იყო. რამდენიმე სატელეფონო საუბარსა თუ მიმოწერაში, როდესაც კლიენტმა ადვოკატთან დაკავშირება შეძლო, ადვოკატმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას.

2 საჩივრის ავტორის მოწმის მ. ვ.-ის განმარტება:

2.1 საპროცესო კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა ადვოკატ მ. ვ.-ის მოწმედ გამოკითხვის თაობაზე. ადვოკატმა მ. ვ.-მა 2021 წლის 15 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. მოწმის განმარტებით, ის საქმის წარმოებაში საჩივრის ავტორის მიმართვის შემდეგ ჩაერთო, როგორც კ. მ.-ის ადვოკატი და ადვოკატ დ. ბ.-სთან ერთად იცავდა კლიენტის ინტერესებს.

2.2 მოწმის განმარტებით, მან არ იცის როდის დაიწყო საჩივრის ავტორსა და ადვოკატ დ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ვინაიდან ის საქმეში მოგვიანებით, წინასასამართლო სხდომამდე 1 კვირით ადრე ჩაერთო. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატებს შორის ფუნქცია-მოვალეობები განაწილებული იყო და მოწმეთა გამოკითხვის პროცესს უნდა გაძღოლოდა ადვოკატი დ. ბ..

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა დ. ბ.-მ მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბრალდების საქმეზე სამი მოწმე უნდა გამოეკითხა, თუმცა ორი მათგანი უარს აცხადებდა ჩვენების მიცემაზე, ხოლო ერთი მოწმის გამოკითხვის ოქმი გადასცა ადვოკატ მ. ვ.-ს.

2.4 მოწმის განმარტებით, კლიენტისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ ადვოკატმა დ. ბ.-მ იმოქმედა კ. მ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მიზანმიმართულად არ გამოკითხა მოწმეები, რამაც გამოიწვია კლიენტის უკმაყოფილება ადვოკატის მიმართ.

3 საჩივრის ავტორის მოწმის დ. დ.-ის განმარტება:

3.1 დ. დ. გამოიკითხა კ. მ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე, 2021 წლის 03 აგვისტოს. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმემ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება და აღნიშნა, რომ 2020 წლამდე, კ. მ.-თან ერთად მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, გამომძიებლის პოზიციაზე.

3.2 მოწმე განმარტავს, რომ 2017 წლის 17 თებერვალს, კ. მ. ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, როცა პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის მიზნით მიიყვანა მოწმე. დ. დ.-ის განმარტებით, მოწმე გადაიბარა განყოფილების უფროსის მოადგილემ, რის შემდეგაც ეს პიროვნება შეიყვანეს კაბინეტში, ხოლო კ. მ.-მა დატოვა განყოფილება.

3.3 მოწმე განმარტავს, რომ კ. მ.-ის დაკავების შემდეგ, ადვოკატ დ. ბ.-ს გადაეცა იმ პირთა სია, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ პოლიციის განყოფილებაში მოწმის მიყვანის შემდეგ, საჩივრის ავტორმა დაუყოვნებლივ დატოვა დანაშაულის ჩადენის ადგილი. მოწმის განცხადებით, დაახლოებით 10-ჯერ მაინც სცადა დაკავშირებოდა ადვოკატ დ. ბ.-ს, თუმცა უშედეგოდ. დ. დ.-ის განმარტებით, მას სურდა ჩვენების მიცემა და იმ ფაქტის დადასტურება, რომ კ. მ. იყო უდანაშაულო, თუმცა ადვოკატმა დ. ბ.-მ არ გამოკითხა არც ერთი ის პიროვნება, ვინც შეძლებდა ბრალდებულის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას.

4 საჩივრის ავტორის მოწმის გ. კ.-ის განმარტება:

4.1 საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა გ. კ.-ის მოწმედ გამოკითხვის თაობაზე. გ. კ.-მა 2021 წლის 03 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება და აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდა, ხოლო ადვოკატ დ. ბ.-ს, სამსახურის გამო იცნობს საკმაოდ კარგად.

4.2 მოწმის განმარტებით, ხშირად უკავშირდებოდა ადვოკატ დ. ბ.-ს, რომელსაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ კ. მ.-ის ინტერესების სასარგებლოდ სურდა მოწმედ დაკითხულიყო, თუმცა ადვოკატი მუდმივად არიდებდა თავს მასთან კომუნიკაციას. გ. კ.-ის განმარტებით, ადვოკატ დ. ბ.-ს არც ერთი მოწმე არ გამოუკითხავს.

5 საჩივრის ავტორის მოწმის შ. კ.-ის განმარტება:

5.1 საპროცესო კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა კ. მ.-ის შუამდგომლობა შ. კ.-ის მოწმედ გამოკითხვის თაობაზე. შ. კ.-მ 2021 წლის 03 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. მოწმის განმარტებით, საჩივრის ავტორი მისი დახმარებით შეხვდა ადვოკატ დ. ბ.-ს.

5.2 მოწმის განმარტებით, კ. მ.-მა აცნობა, რომ უკმაყოფილო იყო ადვოკატ დ. ბ.-ის საადვოკატო მომსახურებით, ვინაიდან ადვოკატი იქცეოდა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, არ შეასრულა კლიენტის მითითებები და არ გამოკითხა მოწმეები.

5.3 მოწმის განმარტებით, ვითარების გასარკვევად, ადვოკატთან შუამდგომლობის მიზნით, ის დაუკავშირდა ადვოკატ დ. ბ.-ს, თუმცა ადვოკატმა არ ისურვა კ. მ.-ის საქმეზე საუბარი და უთხრა, რომ „არ აინტერესებდა აღნიშნული საქმე და ფეხებზე ეკიდა“ .

6 ადვოკატის პოზიცია:

6.1 ადვოკატმა დ. ბ.-მ 2021 წლის 08 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ გარემოებებს. 2021 წლის 16 სექტემბერს ადვოკატი დ. ბ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას.

6.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს შეხვდა საერთო მეგობრის - შ. კ.-ის მეშვეობით, რომელმაც სთხოვა კ. მ.-ისათვის გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია სისხლის სამართლის საქმეზე. სამართლებრივი კონსულტაციის გაწევიდან რამდენიმე დღეში, კ. მ. დააკავეს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ბრალდებით, რის შემდეგაც, საჩივრის ავტორის ნების შესაბამისად, ადვოკატი ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეში და დაიწყო დაკავებულის ინტერესების დაცვა.

6.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მასსა და საჩივრის ავტორის მეუღლეს - მ. მ.-ს შორის, 2020 წლის 28 ივლისს გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა საადვოკატო მომსახურების გაწევა კ. მ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე. საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 1300 აშშ დოლარი, რომელიც ადვოკატისთვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა გადაეხადათ. ადვოკატი სადავოდ არ ხდის ჰონორარის მიღებას. ადვოკატმა დ. ბ.-მ 2020 წლის 28 ივლისს გამოწერა ორდერი N---, რომლის მიხედვითაც მას ევალებოდა კ. მ.-ის კანონიერი ინტერესების დაცვა გამოძიებასა და სასამართლო უწყებებში.

6.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელა შემდეგი მოქმედებები: საგამოძიებო ორგანოში წარადგინა დაცვის ორდერი, დაესწრო კ. მ.-ის დაკავებას, კლიენტი მოინახულა წინასწარი დაკავების იზოლატორში, შეხვდა კლიენტის ოჯახის წევრებს, შეისწავლა საქმის მასალები და დასახა დაცვის სტრატეგია, რომელიც შეათანხმა კ. მ.-თან; კლიენტის მოთხოვნით გაეცნო ვიდეო-კამერების ჩანაწერებს, თუმცა ვიდეო-კამერების ჩანაწერები არ გამოდგებოდა კ. მ.-ის პოზიციის გასამყარებელ მტკიცებულებად. ადვოკატის განმარტებით, ხშირად ხვდებოდა კლიენტს, რა დროსაც უწევდა სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

6.5 ადვოკატ დ. ბ.-ის განმარტებით, კლიენტის მითითებების ფარგლებში, საქმის სასამართლოში წარდგენამდე, გამოკითხა დაცვის მხარის მოწმეები, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, სასამართლოში მიეცათ ჩვენებები. ადვოკატი დამატებით აღნიშნავს, რომ კ. მ.-ისაგან კიდევ რამდენიმე პიროვნების გამოკითხვის თაობაზე მიიღო მითითება, თუმცა მათი გამოკითხვა ადვოკატისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, კერძოდ, აღნიშნული პიროვნებები იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და უარი განაცხადეს გამოკითხვასა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, რის თაობაზეც ადვოკატმა აცნობა კლიენტს. ადვოკატი დ. ბ. ადასტურებს, რომ კ. მ.-ის მოთხოვნისამებრ, ნამდვილად შეხვდა გ. წ.-ს.

6.6 ადვოკატის განმარტებით, საქმის სასამართლოში წარმართვამდე დაახლოებით 1 თვით ადრე საჩივრის ავტორისგან შეიტყო, რომ საქმეში ერთვებოდა კიდევ ერთი ადვოკატი - მ. ვ., რის შემდეგაც მეორე ადვოკატთან ერთად ნახულობდა კლიენტს და იცავდა მის ინტერესებს.

6.7 ადვოკატ დ. ბ.-ის განცხადებით, სხვა ბრალდებულების ადვოკატებისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ მათ სურდათ გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება, რაც აცნობა კლიენტს და აუხსნა საპროცესო შეთანხმების არსი, მაგრამ ამასთანავე განუცხადა, რომ თუ მას არ სურდა საპროცესო შეთანხმების

დადება, ბოლომდე გაყვებოდა საქმეს და ყველა კანონიერი გზით ეცდებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას. ადვოკატმა დ. ბ.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა საპროცესო შეთანხმების გაფორმების სამართლებრივი შედეგები, რამაც ააღელვა კ. მ., ადვოკატს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უთხრა, რომ აღარ სურდა მისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია დ. ბ.-ს. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თუ ნამდვილად სურდა ადვოკატის აცილება, შესაბამისი შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსათვის. მომხდარის შესახებ ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდა საჩივრის ავტორის მეუღლესაც.

6.8 ადვოკატი განმარტავს, რომ ინციდენტის შემდეგ, დაუკავშირდა ადვოკატ მ. ვ.-ს და დარწმუნდა რომ კ. მ. არ რჩებოდა დაცვის გარეშე, რის შემდეგაც აღარ გამოცხადდა ბოლო სასამართლო პროცესზე, სადაც სამივე ბრალდებულთან, მათ შორის კ. მ.-თან, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მათ მიესაჯათ 09 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

6.9 ადვოკატი დ. ბ. ადასტურებს, რომ გათავისუფლების შემდეგ, საჩივრის ავტორი ტელეფონით დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა. შეხვედრისას, კ. მ.-მა მოითხოვა ჰონორარის სრულად დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა აუხსნა, რომ თანხას ვერ დაუბრუნებდა, რადგან მან 07 თვის განმავლობაში საადვოკატო მომსახურება გაუწია სრულად და ჯეროვნად, თუმცა კეთილი ნების ნიშნად შეიძლება ჰონორარის ნაწილი კლიენტისათვის გადაეცა. ადვოკატ დ. ბ.-ს კლიენტისათვის ჰონორარი არ დაუბრუნებია

6.10 ადვოკატის განმარტებით, მისი მხრიდან კლიენტისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

II სამოტივაციო ნაწილი

7. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

7.1 ადვოკატი დ. ბ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

7.2 კ. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 21 ივნისს.

7.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

8. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის

საფუძველი.

9. სამართლებრივი შეფასება:

9.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დ. ბ.-მ არ იმოქმედა კლიენტის მითითებების მიხედვით, კერძოდ, არ მოიპოვა ვიდეო კამერების ჩანაწერები; არ გამოკითხა ის მოწმეები, რომლებსაც კ. მ.-ის სასარგებლოდ შეეძლოთ ჩვენების მიცემა და არ განახორციელა საპროცესო მოქმედებები.

9.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ა) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

9.3 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8)

9.4 „იმ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფილქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე, და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.9).“

9.5 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმება, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი

გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს“ (ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე 111/19, პარ. 6.3).

9.6 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატი დ. ბ. კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ არ ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ 2020 წლის 28 ივლისს ადვოკატ დ. ბ.-სა და მ. მ.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა კ. მ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევა. 2020 წლის 28 ივლისს ადვოკატმა გამოწერა ორდერი N---, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატ დ. ბ.-ს ევალებოდა მოქალაქე კ. მ.-ის კანონიერი ინტერესების დაცვა გამოძიებასა და სასამართლოში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი ზედმიწევნით ეცნობოდა კლიენტის საქმის მასალებს: 2020 წლის 28 ივლისს ადვოკატი დ. ბ. კ. მ.-თან ერთად გაეცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებას (საქმე N---) დ. მ.-ის, ლ. ტ.-სა და კ. მ.-ის დაკავების თაობაზე; ბრალდების მხარისაგან მიიღო კ. მ.-ის 2020 წლის 28 ივლისის დაკავების ოქმი და დადგენილება (N---) პირის ბრალდების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებს საჩივრის ავტორი გაეცნო ადვოკატთან ერთად, რაც დასტურდება ოქმსა და დადგენილებაზე არსებული შესაბამისი ჩანაწერებითა და ხელმოწერებით. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, კლიენტთან ერთად დასახა სამოქმედო სტრატეგია, რომელიც სრულად შეესაბამებოდა კლიენტის ინტერესებს და მოწონებული იყო კ. მ.-ის მიერ; კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად შეისწავლა ვიდეო-კამერების ჩანაწერები და უკავშირდებოდა მოწმედ გამოსაკითხ პირებს. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ როდესაც სხვა ბრალდებულებმა მიმართეს პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეთავაზებით, ადვოკატმა დ. ბ.-მ ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს, განუმარტა მას საპროცესო შეთანხმების არსი და საპროცესო შეთანხმების გაფორმების სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც, კლიენტის ნების შესაბამისად ჩამოშორდა საქმისწარმოებას.

9.7 საპროცესო კოლეგიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატი დ. ბ. კლიენტის სასარგებლოდ მოქმედებდა და ახორციელებდა შესაბამის სამართლებრივ მოქმედებებს. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 5 (ა) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევა.

9.8 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატი დ. ბ. არ მოქმედებდა კლიენტის მითითებების შესაბამისად. საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზია სრულად უარყო ადვოკატმა დ. ბ.-მ და განმარტა, რომ ის, კლიენტის მითითებების მიხედვით მოქმედებდა. კერძოდ, საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ ყველა პირს დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია მოწმედ გამოკითხვის თაობაზე, თუმცა მოგვიანებით, აღნიშნულმა პირებმა აღარ ისურვეს მოწმის სტატუსით საქმეში მონაწილეობის მიღება და უარი განაცხადეს გამოკითხვაზე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. საჩივრის ავტორის მოწმემ, ადვოკატმა მ. ვ.-მა, 2021 წლის 15 სექტემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ ადვოკატმა დ. ბ.-მ გადასცა ერთი მოწმის გამოკითხვის ოქმი და მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო, მოწმის სტატუსით გამოსაკითხმა პირებმა უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე, რაც წარმოშობს ვარაუდის საფუძველს, რომ ადვოკატმა დ. ბ.-მ შეასრულა კლიენტის მითითებები: სცადა მოეპოვებინა

მოწმეთა ჩვენებები, თუმცა აღნიშნული ვერ მოხერხდა ადვოკატისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გათვალისწინებით. ადვოკატი სრულად უარყოფს საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასაც, რომლის მიხედვითაც, მან კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, არ მოიპოვა ვიდეო-კამერების ჩანაწერები და განმარტავს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია ვიდეო-კამერებზე ასახული მასალის თაობაზე, რომელიც აზიანებდა მის პოზიციას, ვინაიდან დასტურდებოდა, რომ კ. მ.-ს არ დაუტოვებია დანაშაულის ჩადენის ადგილი. შესაბამისად, ვიდეო-კამერების ჩანაწერების გამოყენებაზე კლიენტმა უარი განაცხადა.

9.9 საპროცესო კოლეგია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

9.10 საჩივრის ავტორს გარდა ახსნა-განმარტებისა და მოწმეთა განმარტებისა კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადასტურებდა, რომ ადვოკატმა დ. ბ.-მ კლიენტის მითითების მიუხედავად, არ მოიპოვა ვიდეო-კამერების ჩანაწერები და განზრახ არ გამოკითხა მოწმეები. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ კლიენტის მითითებების შეუსრულებლობა.

9.11 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ დასტურდება ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 5(ა) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 და 8.5 მუხლებით დადგენილი ქცევის სტანდარტების დარღვევა.

9.12 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე და იმსჯელა ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

9.13 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N033/17, პარ. 7.2).

9.14 საქმის მასალებითა და ორივე მხარის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატი დ. ბ. საჩივრის ავტორთან ერთად ეცნობოდა საქმის მასალებს; კლიენტთან ერთად განიხილავდა სამოქმედო სტრატეგიას; აკითხავდა კლიენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე, მათ შორის მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხვა ბრალდებულებს სურდათ საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რაც დასტურდება ორივე მხარის ახსნა-განმარტებით; აუხსნა კლიენტს საპროცესო შეთანხმების არსი და სამართლებრივი შედეგები. შესაბამისად, არ დასტურდება

ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ, აპეკ-ის 8.6 მუხლით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.

9.15 საპროცესო კოლეგიამ განიხილა კ. მ.-ის პრეტენზია, რომელიც ეხებოდა ჰონორარის დაბრუნებას და იმსჯელა შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

9.16 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატკლიენტის ურთიერთობას.“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე 091/18, პარ. 5.11)

9.17 საქმეში წარმოდგენილი 2020 წლის 28 ივლისის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, დგინდება, რომ ადვოკატ დ. ბ.-სა და კ. მ.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ხელშეკრულების 2.1.11 მუხლით განისაზღვრა, რომ „კლიენტი ადვოკატს მომსახურებისათვის ჯამში უხდის გაწეული სამუშაოს შესაბამის ოდენობას 1300 აშშ დოლარის შესაბამის ექვივალენტს ლარში.“ აღნიშნული თანხა კლიენტს უნაღდო ანგარიშსწორების გზით უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ჰონორარის სრულად გადახდა დასტურდება საქმეში წარმოდგენილი 2020 წლის 13 აგვისტოს N--- გადახდის ქვითრითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი მისაღებ პირობას წარმოადგენდა მხარეებისათვის. გადახდის ქვითრით დასტურდება, რომ კლიენტისთვის მისაღები იყო საადვოკატო მომსახურებისათვის განსაზღვრული საფასური, რაც დაადასტურა თანხის გადახდით. მხარეთა ახსნა განმარტებით დგინდება, რომ მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, კლიენტის ინიციატივით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებამდე,

ადვოკატი კლიენტს მომსახურებას უწევდა რამდენიმე თვის განმავლობაში, რა დროსაც აკითხავდა მას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობაზე; უთანხმებდა სამოქმედო სტრატეგიას, ახორციელებდა სხვადასხვა სამართლებრივ მოქმედებას და აცნობდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედების სამართლებრივ შედეგებს. ადვოკატმა კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე, გაწია გარკვეული ხარჯი და განახორციელა გარკვეული ღონისძიებები.

9.18 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ მიღებული ჰონორარი არის ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების პროპორციული და განმარტავს, რომ ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ის არ წარმოადგენს სასამართლოს და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა. ასეთი დავის არსებობისას მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით.

9.19 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რაც ეხებოდა ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ კლიენტისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და იმსჯელა შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“

9.20 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებაში №057/10 აღნიშნა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში“.

9.21 საპროცესო კოლეგიამ დეტალურად შეისწავლა საქმის მასალები. ადვოკატის მხრიდან კლიენტის სავარაუდო სიტყვიერი შეურაცხყოფა კლიენტის სამტკიცებელია. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები ან მიუთითოს კომისიას იმ მტკიცებულებების გამოთხოვასა და გამოკვლევაზე, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს სადავო ქცევის ჩადენაზე. ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ კლიენტის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო საჩივრის ავტორს კომისიისათვის არ შეუქმნია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა დ. ბ.-მ კლიენტს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

9.22 საპროცესო კოლეგიამ განიხილა კ. მ.-ის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი დ. ბ. მოქმედებდა დანაშულის რეალური ამსრულებლის - გ. წ.-ის მითითებების შესაბამისად და იმსჯელა შემდეგო ნორმის შესაძლო დარღვევაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1 მუხლი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“

9.23 „ადვოკატის მოვალეობაა დაცვის ქვეშ მყოფ პირს მისცეს ისეთი სამართლებრივი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისა და დასაცავი პირის ინტერესებიდან.“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე 001/10).

9.24 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი დ. ბ. მოქმედებდა დანაშაულის რეალური ამსრულებლის - გ. წ.-ის მითითებების შესაბამისად. ადვოკატმა დ. ბ.-მ უარყო კ. მ.-ის პრეტენზია, რომ ის სხვა პირის მითითებების მიხედვით მოქმედებდა და განმარტა, რომ ის ნამდვილად შეხვდა გ. წ.-ს კლიენტის მითითების შესაბამისად.

9.25 „საქმეში წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების პირობებში მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტებთან შემხებლობის მქონე მტკიცებულებებს, რადგან სწორედ მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიების საფუძვლიანობა.“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 21 ოქტომბრის N031/20 გადაწყვეტილება, პარ. 5.5)

9.26 საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა ადვოკატ დ. ბ.-ის დამოუკიდებლობას. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1 მუხლის შესაძლო დარღვევა.

9.27 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატ დ. ბ.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 5(ა) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1, 3, 8.2, 8,5, 8.6, 8.15 მუხლების დარღვევა.

9.28 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №043/21 ადვოკატ დ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/